# შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№37 (9.553)

5 ოქტომბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი


# „ქართული ოცნება“-ხელისუფლებაში, „ნაციონალური მოძრაობა“-ოპოზიციაში

„ამ არჩევნებში უპირატესობა მოიპოვა „ქართული ოცნების“ კოალიციამ. ეს ნიშნავს იმას, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ უნდა ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა და მე, როგორც პრეზიდენტი, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში ხელს შევუწყობ პროცესს, რომ პარლამენტმა დაიწყოს მუშაობა და პარლამენტმა შეძლოს პარლამენტის თავმჯდომარის არჩევა და ასევე ახალი მთავრობის ჩამოყალიბება“

„საქართველო ევროკავშირისა და ნატოს მიმართ სტრატეგიას არ შეცვლის. თავიდან კარგი და საინტერესო იქნება, უფრო ნაცნობ ბაზარზე დავბრუნდეთ. ზოგადად, ქართველი ბიზნესმენები რუსულ ბაზარს კარგად იცნობენ. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ძლიერი ადგილობრივი წარმოება არ გვაქვს. პირველ ყოვლისა, კულტურული და სავაჭრო ურთიერთობების კუთხით უნდა ვიმუშაოთ, შემდეგ კი მოვახდინოთ ფოკუსირება ტერიტორიულ მთლიანობაზე.“

საქართველოში 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა ქვეყანაში ძირეული ცვლილებები განაპირობა. არჩევნებში უპირატესობა „ქართული ოცნების“ კოალიციამ მოიპოვა, რის გამოც ახალმა პარლამენტმა ახალი მთავრობა უნდა ჩამოაყალიბოს. პრეზიდენტის განცხადებით, „ქართული ოცნების“ ღირებულებები მისთვის მიუღებელია და „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციაში გადადის.

„საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგების დაჯამების შემდეგ, აშკარაა, რომ ამ არჩევნებში უპირატესობა მოიპოვა „ქართული ოცნების“ კოალიციამ. ეს ნიშნავს იმას, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ უნდა ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა და მე, როგორც პრეზიდენტი, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში ხელს შევუწყობ პროცესს, რომ პარლამენტმა დაიწყოს მუშაობა და პარლამენტმა შეძლოს პარლამენტის თავმჯდომარის არჩევა და ასევე ახალი მთავრობის ჩამოყალიბება“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

„თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენთვის, ჩემთვის, ფუნდამენტურად მიუღებელი იყო ამ კოალიციის შეხედულებები და არის. ჩვენს შორის არის ძალიან ღრმა განსხვავებები და ჩვენ მიგვაჩნია, რომ მათი შეხედულებები არის უკიდურესად მცდარი, მაგრამ დემოკრატია მუშაობს ისე, რომ ქართველი ხალხი უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას და ეს არის ის, რასაც ჩვენ, რა თქმა უნდა, ვცემთ ძალიან დიდი პატივს. ამავე დროს, როგორც „ნაციონალური მორაობის“ ლიდერმა მინდა ვთქვა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გადადის ოპოზიციაში. ბოლო 8 წლის მონაპოვრები ვარდების რევოლუციის, არის ძალიან მნიშვნელოვანი არა მხოლოდ საქართველოს ისტორიისთვის, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის. ასევე, ამ მონაპოვარმა აქცია საქართველო დანარჩენი მსოფლიოსთვის ერთ-ერთ ძალიან საკვანძო ქვეყნად. ამიტომ, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საბოლოო ჯამში როგორი საფრთხეებიც არ უნდა შეექმნათ ამ მონაპოვრებს, უახლოეს თვეებში ან წლებში, ჩვენ, როგორც ოპოზიციური ძალა ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ყველაფერი, რაც შეიქმნა ბოლო წლებში, კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, საქართველოს გათანამედროვების კუთხით, ახალი ინსტიტუტების მშენებლობების კუთხით, მაქსიმალურად დავიცვათ, შევუნახოთ შემდეგ თაობებს და შევძლოთ საქართველოს შემდეგი გაგრძელება ყველა კონსტიტუციური და პოლიტიკური პროცესების შედეგად. რა თქმა უნდა, მე პატივისცემას გამოვხატავ არჩევნებში მონაწილე უმრავლესობის გადაწყვეტილების მიმართ, მაგრამ ამავე დროს მე ვეუბნები მადლობას იმ დიდი რაოდენობით მხარდამჭერებს, რომელმაც მხარდაჭერა გამოხატა მთავრობის კურსის მიმართ, პრეზიდენტის კურსის მიმართ და მე დარწმუნებული ვარ, რომ პროგრესს, საქართველოს განვითარებას მომავალში ალტერნატივა მაინც არ ექნება და ჩვენ ყველანი გავაგრძელებთ ბრძოლას სწორედ ამ რწმენით, როგორიც არ უნდა იყოს დღევანდელი დღის გამოწვევები“, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

“საქართველო ევროკავშირისა და ნატოს მიმართ სტრატეგიას არ შეცვლის”-ეს განცხადება კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა „ევრონიუსთან“ საუბრისას გააკეთა.

ტელეკომპანია რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობებითა და ნატოში ინტეგრაციით დაინტერესდა.

როგორც ივანიშვილმა განაცხადა, ქართული ბიზნესი ჯერ მზად არ არის იმისთვის, რომ აშშ-სა და ევროპის ბაზრებზე პროდუქციის ექსპორტი მოახდინოს. „ასე რომ, თავიდან კარგი და საინტერესო იქნება, უფრო ნაცნობ ბაზარზე დავბრუნდეთ. ზოგადად, ქართველი ბიზნესმენები რუსულ ბაზარს კარგად იცნობენ. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ძლიერი ადგილობრივი წარმოება არ გვაქვს“.

იგი მიიჩნევს, რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება იოლი საქმე არ იქნება და დიდი დრო დასჭირდება. “პირველ ყოვლისა, კულტურული და სავაჭრო ურთიერთობების კუთხით უნდა ვიმუშაოთ, შემდეგ კი მოვახდინოთ ფოკუსირება ტერიტორიულ მთლიანობაზე”-ასე ჩამოაყალიბა ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი ხედვა და სამომავლო გეგმა.

საპარლამენტო არჩევნები დადებითად შეაფასეს უცხოელმა დამკვირვებლებმა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ საქართველოში პირველად მოხდა ხელისუფლების გადაბარება არა რევოლუციური, არამედ არჩევნების გზით. ივანიშვილის განცხადებით, რამდენიმე დღეში უკვე ცნობილი გახდება ახალი მთავრობის წევრების ვინაობა. რაც შეეხება მთავრობის გადაბარების პროცესს, საზოგადოების წარმომადგენლებისა და ექსპერტთა შეფასებით, ეს პროცესი რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა მოგვარდეს და აღარ უნდა მოხდეს მისი დროში განელვა.

საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა, კონსტიტუციის თანახმად, არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში უნდა გაიმართოს.

კანონის თანახმად, მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობას საკანონმდებლო ორგანო გამოუცხადებს, რომელსაც პრეზიდენტი ფრაქციებთან შეთანხმებით წარადგენს. პრეზიდენტი დეპუტატებს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს, რომელიც, პრეზიდენტთან შეთანხმებით, პარლამენტს მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობას წარუდგენს.

პარლამენტმა მთავრობის შემადგენლობა ერთი კვირის ვადაში უნდა დაამტკიცოს.

კონსტიტუციაში შესული ერთ-ერთი ბოლო ცვლილებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღიდანვე, ძალაში შედის საკონსტიტუციო მუხლი, რომლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელად ქალაქი ქუთაისია განსაზღვრული. ასევე, ერთ-ერთი ცვლილებით, პარლამენტის ადგილსამყოფელის დროებით შეცვლა მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს არის დასაშვები.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

## ვის ერგება მაჟორიტარის მანდატი პარლამენტში?



გვ. 3

## ქოჩების ტბის რეაბილიტაცია, სავარაუდოდ, არ შეჩერდება



გვ. 5

## სკოლა, ოჯახი, საზოგადოება

გვ. 4


ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge


C M Y K

## პრეზიდენტმა „ქართულ ოცნებასთან“ დიალოგისთვის სამუშაო ჯგუფი შექმნა

პრეზიდენტმა „ქართულ ოცნებასთან“ დიალოგისთვის სამუშაო ჯგუფი შექმნა. როგორც უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ ჟურნალისტებთან შეხვდრისას განაცხადა, „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან დიალოგს „ქართულ ოცნებასთან“ დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა, პალიკო კუბლაშვილი და გიგა ბოკერია აწარმოებენ.

„მოგეხსენებათ საქართველოს პრეზიდენტმა გამოთქვა ნება საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების შემდეგ ყველა პროცესი წარიმართოს კონსტიტუციის ფარგლებში. ამ ამოცანის შესასრულებლად რა თქმა უნდა საჭიროა დიალოგი არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალის წარმომადგენელსა და ჩვენი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლებს შორის. ჩვენი პოლიტიკური გუნდის მხრიდან ამ დიალოგში მონაწილეობას მიიღებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, ქალაქის მერი გიგი უგულავა, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი, და მე . იმედია ეს დიალოგი დაიწყება უახლოეს მომავალში და საზოგადოება იქნება ინფორმირებული მისი დაწყების თაობაზე“. - აღნიშნა ბოკერიამ.

## ეუთო და ევროსაბჭო: ამ არჩევნებით საქართველომ დემოკრატიის ტესტი ჩააბარა

საქართველომ საპარლამენტო არჩევნებით დემოკრატიის ტესტი ჩააბარა, - ამის შესახებ ეუთო-სა და ევროსაბჭოს დელეგაციის წევრებმა ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე განაცხადეს.

დაკვირვების წინასწარი შედეგების შეჯამებისას ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ტონინო პიცულამ და ევროსაბჭოს დელეგაციის წარმომადგენელმა ლუკა ვოლონტემ პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს წარმატებით ჩაბარებული ტესტი უწოდეს და აღნიშნეს, რომ გამჭვირვალედ ჩატარებული არჩევნები ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია.

## აშშ-ს ელჩი: ახალ მთავრობასთან ურთიერთობაში ძირეული ცვლილებები არ იქნება

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი საგარეო უწყებაში დახურულ კარს მიღმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა. როგორც ელჩი აცხადება, საქართველოსა და ამერიკას შორის ურთიერთობები ახალ მთავრობასთანაც გაგრძელდება.

„შეხვედრაზე ვისაუბრეთ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებზე. ამერიკა მომავალშიც გაგრძელებს საქართველოსთან ურთიერთობას. არ ვფიქრობ, რომ რაიმე ძირეულად შეიცვლება, ამ თემაზე საუბარი ბატონ ივანიშვილთანაც მქონდა. ვიცით, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს ხმათა გადათვლა. გუშინ სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ჩატარებული არჩევნების მიხედვით ხელისუფლების ცვლა, ეს არის კიდევ ერთი დემოკრატიული ნაბიჯი, რომელიც საქართველომ გადადგა“, - განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

## ჰილარი კლინტონმა ბიძინა ივანიშვილს გამარჯვება მიულოცა

ამერიკის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონსა და „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

„ქართული ოცნების“ ინფორმაციით, სახელმწიფო მდივანმა ბიძინა ივანიშვილს და მის გუნდს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

„ჰილარი კლინტონმა და ბიძინა ივანიშვილმა საუბრისას ხაზი გაუსვეს შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობას. ისაუბრეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს შემდგომ თანამშრომლობაზე. ჰილარი კლინტონმა მადლობა გადაუხადა ბიძინა ივანიშვილს მისი მისწრაფებისთვის, კიდევ უფრო გაღრმავდეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა. თავის მხრივ, ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში“.

სატელეფონო საუბარი მიხეილ სააკაშვილსა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანს შორისაც შედგა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საუბარი ჰილარი კლინტონის ინიციატივით შედგა. სახელმწიფო მდივანი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებითა და საარჩევნო კომისიებზე არსებული ზეწოლი ფაქტებით დაინტერესდა.

ამასთან, ივანიშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და სენატორები ჯონ შაფინი და ჯეიმს რიში მიიღო. სტუმრებმა ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების“ ლიდერს არჩევნებში წარმატება მიულოცეს.

„ჩვენ აქ ბატონ ბიძინასთან შესახვედრად მოვედით და გვინდოდა, რომ მისთვის „ქართული ოცნების“ წარმატება მიგვეულოცა“,- განაცხადა სენატორმა ჯონ შაჰინმა. სენატორმა ჯეიმს რიშმა კი იმედი გამოთქვა, რომ ამერიკა - საქართველოს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა, კიდევ უფრო გაღრმავდება და გაძლიერდება.

## ბიძინა ივანიშვილი - ყველა მინისტრი შეიცვლება... უფრო ქვევით არ ვაპირებთ

„ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ახალი მთავრობის შემადგენლობას 8 ოქტომბერს, ორშაბათს დაასახელებს. „ყველა მინისტრი შეიცვლება, მოადგილეები შეიძლება ბევრი დარჩეს, უფრო ქვევით არ ვაპირებთ წასვლას, თუ არ არის სპეციალური შემთხვევა. რაც შეეხება საჯარო მოხელეებს, ყველა შეინარჩუნებს თანამდებობას“, - განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, ხვალ და ზეგ მინისტრთა კაბინეტის პროექტს ის თავისი გუნდის წევრებს გააცნობს. „პროექტი ნაწილობრივ ალბათ შეიცვლება, რადგან მარტო არ ვიღებ ხოლმე გადაწყვეტილებებს“, - განაცხადა ივანიშვილმა და იქვე განმარტა, რომ ის ხელისუფლებაში ვინმეს დასასჯელად არ მოსულა.

კოალიციის ლიდერის განცხადებით, შრომის კოდექსი გადასახედია, რაშიც ბიზნესმენებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, რათა ქართული შრომის კოდექსი დაიხვეწოს და ქართული ბიზნესი განვითარდეს და ფეხზე დადგეს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიის პირველი ნომრის დავით ბაქრაძის განცხადებით, პოლიტიკური თანამდებობების პირებს ყოველთვის ეხებათ ხელისუფლების შეცვლა. „რაც შეეხება მოხელეებს, მე იმედი მაქვს, რომ „ქართული ოცნება“ შეინარჩუნებს ჩვენი სამოხელეო აპარატის იმ ნაწილს, რომელიც წლების მანძილზე ჩამოყალიბდა როგორც პროფესიონალად და თავისი საქმის მცოდნედ. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ქვეყნის ინტერესშიც, ახალი ხელისუფლების ინტერესშიც, საზოგადოების ინტერესშიც, რომ იყოს რაღაც სტაბილურობა და ადამიანები, ვინც წლების მანძილზე აკეთებდნენ თავის საქმეს, დარჩნენ საკუთარ პოზიციებზე“, - აღნიშნა ბაქრაძემ.

შეგახსენებთ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2012 წლის 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების წინასწარი შედეგების შეჯამება დაასრულა. ცესკოს პრესსპიკერის ეკა აზარაშვილის განცხადებით, 3 766 უბნიდან დათვლილია ყველა უბნის მონაცემი. მისივე თქმით, ცვლილებები შეიძლება მოხდეს მხოლოდ გასაჩივრების პროცედურების შედეგად, თუმცა რაიმე სახის მნიშვნელოვანი ცვლილება ნაკლებად სავარაუდოა.

## „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში პრინციპებს დაიცავს

ნაციონალური მოძრაობა პატივს სცემს მოსახლეობის არჩევანს და მიუხედავად იმისა, რომ მათ ხელში გარკვეული პოლიტიკური ბერკეტები არსებობს, ქვეყანაში კრიზისის შექმნას არ გეგმავენ, - განაცხადა დავით ბაქრაძემ „ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისში გამართული ბრიფინგის შემდეგ ჟურნალისტებთან.

ბაქრაძემ აღნიშნა, რომ პარტია აღიარებს არჩევნებში დამარცხებას, შევა პარლამენტში და იქ გააგრძელებს მუშაობას, როგორც ოპოზიციური ძალა. მისი განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ არ უღალატებს თავის პრინციპებს და პარლამენტში, როგორც ოპოზიციური ძალა, შეეცდება საკუთარი პოზიციების დაცვას. მან მადლობა გადაუხადა ამომრჩეველს, რომელმაც მხარი „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუჭირა.

როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ამბობენ, მათი და კოალიცია „ქართული ოცნების“ ხედვებში ფუნდამენტური განსხვავებაა და პარლამენტში დაიცავენ იმ პრინციპებს და ღირებულებებს, რომელიც “ნაციონალურ მოძრაობას“ გააჩნია.

## რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობის დალაგების იმედს გამოთქვამს

საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში დაფიქსირებულ შედეგებს, რომელსაც უახლოეს მომავალში მთავრობის შეცვლა მოჰყვება, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ალექსანდრე ლუკაშევიჩი ეხმაურება.

ლუკაშევიჩის თქმით, მოსკოვი იმედოვნებს, რომ ეს არჩევნები კონსტრუქციულ ცვლილებებს გამოიწვევს და ორმხრივ ურთიერთობებს ყველა სფეროში ნორმალიზაციის შესაძლებლობას მისცემს.

„სხვათა შორის, მე მინდა შეგახსენოთ, რომ რუსეთი არ ყოფილა ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის ინიციატორი. ეს მიხეილ სააკაშვილი იყო. სწორედ ამიტომ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საპარლამენტო არჩევნები პოზიტიურ გავლენას მოახდენს არამხოლოდ ორმხრივ ურთიერთობებზე, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიაში სიტუაციის ნორმალიზებაზე. ჩვენ მივენდობით არა ქართველი პოლიტიკოსების განცხადებებს, არამედ მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. რუსეთს მისი ისტორიის განმავლობაში ქართველ ხალხთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა“, - ნათქვამია ლუკაშევიჩის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ არჩევნების შედეგად საპარლამენტო უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა და სამთავრობო კაბინეტის დაკომპლექტების უფლება მიიღო.

## ცესკო-მ პარლამენტის არჩევნების წინასწარი შედეგების შეჯამება დაასრულა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2012 წლის 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების წინასწარი შედეგების შეჯამება დაასრულა. ცესკოს პრესსპიკერის ეკა აზარაშვილის განცხადებით, 3 766 უბნიდან დათვლილია ყველა უბნის მონაცემი. მისივე თქმით, ცვლილებები შეიძლება მოხდეს მხოლოდ გასაჩივრების პროცედურების შედეგად, თუმცა რაიმე სახის მნიშვნელოვანი ცვლილება ნაკლებად სავარაუდოა.

5 ოქტომბრის მდგომარეობით მონაცემები შემდეგია:

„ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ - მიღებული ხმების რაოდენობაა 1,184,588, რაც შეადგენს საერთო რაოდენობის 54.9 %-ს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“ - მიღებული ხმების რაოდენობაა 872,336, რაც შეადგენს საერთო რაოდენობის 40.4 %-ს;

დანარჩენი საარჩევნო სუბიექტების შედეგები მნიშვნელოვნად ჩამორჩება 5%-იან მაჩვენებელს.

„აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას დარჩენილ პერიოდში ჩასატარებელი აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები, რათა შეიქმნას დოკუმენტი, რომელიც იქნება ძალაუფლების განაწილების იურიდიული საფუძველი. დღეისათვის მიმდინარეობს საჩივრების განხილვის ეტაპი, რომლის ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარება უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენ ყურადღებით ვსწავლობთ საჩივრების სახით შემოსულ და მედიაში გავრცელებულ ყველა ინფორმაციას შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ დაინტერესებულ მხარეებს, განსაკუთრებით კი მედიას, თავი შეიკავონ წინასწარი დასკვნებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიზანმიმართული დისკრედიტაციისგან“ - განუცხადა ჟურნალისტებს ეკა აზარაშვილმა.

## თამაზ თამაზაშვილს რამდენიმე დღეში გაათავისუფლებენ

კახეთის პოლიციის ყოფილ უფროსს თამაზ თამაზაშვილს, რომელსაც 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა აქვს შეფარდებული, რამდენიმე დღეში გაათავისუფლებენ. ამ ინფორმაციას თამაზაშვილის ოჯახის წევრებიც ადასტურებენ.

„ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა არჩევნების მეორე დღეს, 2 ოქტომბერს, ხელისუფლებას თხოვნით მიმართა, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, მათ შორის ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი, თამაზ თამაზაშვილი, რომელიც პოლიტიკური ნიშნით არის დაკავებული, კანონიერი გზით გაათავისუფლოს. კოალიციის რამდენიმე აქტივისტი უკვე გაათავისუფლეს.

თამაზ თამაზაშვილს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი და კოალიციიდან დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატის ალექსანდრე თამაზაშვილის მამაა, თბილისის საქალაქო სასამართლომ სასჯელის სახით 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიმდინარე წლის აპრილში მიუსაჯა.

პროკურატურა თამაზ თამაზაშვილს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის I და II ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ადანაშაულებდა, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა შენახვას და ტარებას ითვალისწინებს.

თამაზ თამაზაშვილი სამართალდამცავებმა 2011 წლის 11 ოქტომრებს დააკავეს. თამაზ თამაზაშვილი დანაშაულს არ აღიარებს. 2011 წლის 11 ნოემბერს, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკაში თამაზ თამაზაშვილის სახლი დაიწვა. სახლს ხანძარი გაურკვეველ ვითარებაში გაუჩნდა, მეხანძრეები კი შემთხვევის ადგილზე 1 საათის დაგვიანებით მივიდნენ.

## „ქართული ოცნება“ სახელმწიფო უწყებებში საკუთარ წარმომადგენლებს მიავლენს

კოალიცია „ქართული ოცნება” 8 ოქტომბრიდან ყველა სახელმწიფო უწყებაში საკუთარ წარმომადგენლებს მიავლენს. ამის შესახებ “ქართული ოცნების” სამუშაო ჯგუფის წევრმა დავით უსუფაშვილმა მთავრობის კანცელარიაში, მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

„გარდა ამისა, თავიდან რომ ავიცილოთ შეფერხებები საერთაშორისო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, აუცილებელია, ჩვენი წარმომადგენლები თანდათან გაეცნონ სამინისტროებისა და სხვადასხვა უწყების მუშაობის სპეციფიკას. ჩვენ ასევე ჩავერთვებით ჟენევის მოლაპარაკებებში და წარმომადგენელს მივავლენთ ყველა სტრუქტურაში, მათ შორის - ძალოვან უწყებაში”, - აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

# ვის ერგება მაჟორიტარის მანდატი პარლამენტში?

***4 ოქტომბერს დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომა საპროტესტო აქციის ფონზე დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. კომისიამ კოალიცია „ქართული ოცნების“ და დამკვირვებლების 8 საჩივრიდან არცერთი არ დააკმაყოფილა. კოალიცია რამდენიმე საარჩევნო უბნის, მათ შორის 22-ე ხორნაბუჯის და მე-18 საბათლოს საარჩევნო უბნების შედეგების ბათილად ცნობას ითხოვდა. ხმების დაცვას კომისიის გარეთ შეკრებილი მოსახლეობაც შეძახილებით ცდილობდა. აქციას ადგილობრივი სასულიერო პირებიც შეუერთდნენ.***

„ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს შტაბი ამომრჩევლებს საკუთარი ხმების დაცვისკენ და ერთად დგომისკენ მოუწოდებდა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის ლია კვაჭაძის განცხადებით, 22-ე ხორნაბუჯის საარჩევნო უბანზე არჩევნები დარღვევებით ჩატარდა. მთელი დღის განმავლობაში ამომრჩევლებს კენჭისყრის კაბინაში ერთიდაიგივე ამომრჩეველი მიჰყვებოდა და ბიულეტენში საარჩევნო ნომრებს ის ხაზავდა. საოლქო კომისიამ საჩივარი მაინც არ დააკმაყოფილა.

კომისიის თავმჯდომარის დავით ბუჩუკურის განცხადებით, უმჯობესია თუ საკითხს სასამართლო განიხილავს და გადაწყვეტილებას ის მიიღებს.

რაც შეეხება საბათლოს საარჩევნო უბანს, „ქართული ოცნების“ საჩივრის თანახმად, აღნიშნულ უბანზე ამომრჩეველთა სამაგიდო სიაში გაკეთებული ხელმოწერების რაოდენობა გაცემული ბიულეტენების რაოდენობას არ ემთხვევა.

ამასთან, დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიამ 4 ოქტომბრის სხდომაზე დედოფლისწყაროს №19-ე უბნის თავმჯდომარე გიორგი რობიტაშვილი 2 000 ლარით დააჯარიმა.

თავმჯდომარის დაჯარიმების საფუძველი საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი გახდა, რომელშიც მონაცემები გადასწორებული იყო.

ოპოზიცია უბნის შედეგების ბათილად ცნობას ითხოვდა, თუმცა საჩივრის განხილვის შემდეგ კომისიამ რობიტაშვილის დაჯარიმების გადაწყვეტილება მიიღო.

ეს ერთადერთი სანქცია იყო, რომელიც დედოფლისწყაროს საოლქო კომისიამ საჩივრების განხილვის შედეგად გამოიტანა.

სოფელ საბათლოს 18-ე საარჩევნო უბნის დამკვირვებელი იგორ იანვარაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას დედოფლისწყაროს რამდენიმე საჯარო მოხელეს და "ნაციონალური მოძრაობის" აქტიურ წევრს ამომრჩეველთა ზეწოლაში და მათთვის არჩევანის თავისუფლად გამოხატვის შეზღუდვაში ადანაშაულებს.

მისი თქმით, უბანი სულ ერთი საათით მაშინ დატოვა, როცა ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა ხმა უკვე განახორციელა და უბანზე მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეებს ელოდნენ. უკან დაბრუნებულს კი ამომრჩეველთა რიცხვი კიდევ 120-ზე მეტი ერთეულით გაზრდილი დახვდა.

არჩევნების შემდეგ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში შედეგით უკმაყოფილო ივანიშვილის მხარდამჭერები მოსახლეობასა და სოფლის ხელისუფლებაზე ზეწოლას ცდილობდნენ.

საბათლოს მაცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ „ქართული ოცნების“ შტაბიდან ჩასული აქტივისტები სოფელ საბათლოს რწმუნებულს არტაკ აივაზიანს კაბინეტის დაცლას აიძულებდნენ და აცხადებდნენ, რომ ამიერიდან რწმუნებული მათ უნდა დანიშნონ. მოსახლეობა სხვა სახის ზეწოლებზეც საუბრობს.

„კამერების და ჟურნალისტების თანხლებით დადიან და ცდილობენ, მოსახლეობის კომენტარი მოიპოვონ, სადაც ამომრჩეველი იტყვის, რომ თითქოს ნაციონალურ მოძრაობას ხმა ზეწოლის შედეგად მისცა. მანქანებით დარბიან და სოფელში არეულობა შემოაქვთ. კომისიის წევრებს, აგიტატორებს და მოქალაქეებს იბარებენ... წარმოიდგინეთ, სოფლის რწმუნებულს უთხრეს, აღარ ხარ სოფლის რწმუნებულიო. ძალიან ცუდი სიტუაციაა საბათლოში,“ — აცხადებენ საბათლოს მაცხოვრებლები.

ეს ინფორმაცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს შტაბშიც დაადასტურეს. მათი თქმით, სოფელში არსებულ ამგვარ ვითარებაზე ინფორმაციას ფლობენ.

„ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს შტაბი მათი მხრიდან სოფელ საბათლოში რწმუნებულსა და მოსახლეობაზე განხორციელებულ ზეწოლის ფაქტებზე გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება. გაზეთ „შირაქთან“ ექსკლუზიური კომენტარი ლია კვაჭაძემ გააკეთა. მისი თქმით, სოფელ საბათლოში პირადად იმყოფებოდა და იქ მცხოვრები მოსახლეობა გამოცოცხლებულია.

„უსინდისოდ ტყუიან ნაციონალები, როგორც ყოველთვის! ვეღარ გაიგეს, რომ ძალადობით და მუქარით ვერაფერს მიაღწევენ. გუშინ მე თვითონ ვიყავი საბათლოში ჩასული და გაოცებული დავრჩი, როგორ გამოცოცხლებულან! მომავლის იმედი აქვთ ჩასახული, გამიხარდა, რომ ხალხი შიშის კომპლექსისგან გათავისუფლებულია, გულწრფელად გვიყვებოდნენ, როგორ ემუქრებოდათ სოფლის რწმუნებული და ნაციონალების სხვა აქტივისტები, რომ თუ ხუთიანებს არ შემოხაზავდნენ, მათ ან მათ ახლობლებს სამსახურებიდან გაათავისუფლებდნენ და პრობლემებს შეუქმნიდნენ. საბათლოელები გამოხატავენ პროტესტს არჩევნების ძალადობით ჩატარების გამო, ითხოვენ შედეგების გაუქმებას და ხელახალი არჩევნების ჩატარებას,“ — განაცხადა „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს შტაბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ლია კვაჭაძემ.

შეგახსენებთ, ამ ზეწოლის ფაქტებზე კომენტარი თბილისში ნაციონალური მოძრაობის პრესსპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმაც გააკეთა. თაქთაქიშვილის განცხადებით, "ქართული ოცნების" სამი წარმომადგენელი ზეწოლას ახორციელებს დედოფლისწყაროში სოფელ საბათლოს რწმუნებულზე.

"საბათლოს რწმუნებულს ეუბნებიან, რომ ის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს თანამდებობას, თუ აღიარებს, რომ არჩევნებს თავად აყალბებდა", — განაცხადა თაქთაქიშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „არჩევანის თვისუფლებისთვის“ წარმომადგენლის მაგდა პოპიაშვილის განმარტებით, დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქის საბათლოს №18-ე საარჩევნო უბნის შედეგები სერიოზულად პრობლემური საკითხია.

„ეს უბანი სერიოზულად პრობლემურია. დაფიქსირებული შედეგები ასე ვერ დარჩება... დედოფლისწყაროში ამ უბანმა გადაწყვიტა მაჟორიტარი კანდიდატის ბედი. არადა, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, სოფელ საბათლოში ბევრი დარღვევაა დაფიქსირებული,“ — განაცხადა მაგდა პოპიაშვილმა.

ცნობისთვის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში, რომელიც ძირითადად ეთნიკური უმცირესობებით არის დასახლებული, ამომრჩეველთა თითქმის 90%-მა მხარი „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ და მის დეპუტატობის კანდიდატს ზაზა კედელაშვილს დაუჭირა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ სოფელ საბათლოში მხოლოდ 10 ხმა ერგო. „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს შტაბში აცხადებენ, რომ არსებობს სოფელ საბათლოში მიმდინარე დარღვევების ამსახველი ვიდეო-კადრებიც. მათი თქმით, ამ სოფელში მმართველი გუნდი ხმების მოგროვებას კანონდარღვევებით ცდილობდა.

კოალიციის პრეს-სპიკერის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, საბათლოში მე-18-ე უბანზე ამომრჩეველს აიძულებენ ბიულეტინზე შემოხაზული ხუთიანები კომისიისთვის ეჩვენებინათ. ეს განცხადება კოალიციის ცენტრალურ ოფისში საგანგებო პრესკონფერენციაზე გაკეთდა.

შეგახსენებთ, სოფელი რაიონული ცენტრისგან მკვეთრად არის მოწყვეტილი და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მდებარეობს.

ილია მარტყოფლიშვილი

# ფიქრები არჩევნების შემდეგ

დაძაბული წინასაარჩევნო კამპანიის ფონზე, შეძრწუნებულები, აგზნებულები, შეშინებულები, როგორც იქნა, მშვიდობით მივედით არჩევნების დღემდე. ყველას საწუხარი იყო, როგორ ჩაივლიდა არჩევნები თავად 1 ოქტომბერს – გვეფიქრებოდა, არ მოხდეს ტოტალური გაყალბება და სახელმწიფო რესურსების თვალშისაცემი გამოყენება, მასობრივად არ გამოვიდეს ოპოზიცია ქუჩებში, მთავრობამ ხისტი პოლიტიკა არ განახორციელოს და.. კიდევ ერთხელ არ დაიღვაროს ძმათა სისხლიო. საბედნიეროდ, არჩევნების დღეს საარჩევნო ყუთებთან მისულმა ჩვენმა მოქალაქეებმა საკუთარი ნება გამოხატეს და შედეგმა აჩვენა, როგორ შეიძლება მოხდეს „ხავერდოვანი რევოლუცია“, როგორ შეიძლება შეიცვალოს ერთი მმართველი პარტია მეორეთი, მაგრამ, როგორი იყო თავად არჩევნების დღე? – ქ. დედოფლისწყაროს №2 საარჩევნო უბანში, რომელსაც მთელი დღის მანძილზე ვაკვირდებოდი, არ შეწყვეტილა ხალხის ნაკადი. აქ 1459 ამომრჩევლიდან 797 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. აქედან 393 ხმა „ბიძინა ივანიშვილი - ქართულ ოცნებამ", ხოლო 348 ხმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობამ", მოიპოვა, მაჟორიტარებში კი 389 ხმა ალექსანდრე თამაზაშვილს, ხოლო 364 ხმა ზაზა კედელაშვილს ერგო. არჩევნებზე მოდიოდნენ ადამიანები, რომელთა თვალებშიც სიმტკიცე და უტეხი ნება იხატებოდა, მოდიოდნენ შეშინებული და დაბნეული ადამიანები, რომლებსაც უჭირდათ გადაწყვეტილების მიღება, ებრძოდნენ საკუთარ ხედვასა და მავანისაგან მიღებულ დირექტივას შორის როგორი არჩევანი გაეკეთებინათ, მოდიოდნენ ისეთებიც, რომლებიც ყოველგვარი ანალიზის გარეშე ასრულებდნენ პირობას, რაც „ჭკუის დამრიგებელს“ მისცეს, მოდიოდნენ ისეთებიც, ვინც არ იცოდა, რა უნდა ექნა და მას ვიღაც რიგითი მოქალაქე „ეხმარებოდა“ არჩევანის გაკეთებაში და ახაზვინებდა ან უხაზავდა იმ ნომერს, რაც მას თავად მიაჩნდა სამართლიანად. ასეთ შემთხვევაში „დამხმარე პერსონალი“ თავის საქმეს აკეთებდა. ასე იყო უწინაც, ასე იყო ახლაც და რადგან უამრავ არჩევნებს ვარ მოსწრებული და დაკვირვებული, მიმაჩნია, რომ „დამხმარის ინსტიტუტი“ საერთოდ უნდა გაუქმდეს, რადგან ის ვერ გამოხატავს დასახმარებელი სუბიექტის აზრს. სჯობია, ასეთმა ამომრჩეველმა საარჩევნო პროცედურის გათვალისწინებული ნორმა ვერ შეასრულოს და გაბათილდეს მისი ხმა, ვიდრე „დამხმარე“ ადამიანმა ორჯერ და სამჯერ დააფიქსიროს თავისი ნება. არჩევნებზე მრავალწლიანმა დაკვირვებამ მიმიყვანა კიდევ ერთ დასკვნამდე: - უბანზე მოდიან ღრმად მოხუცებული ადამიანები, რომლებსაც აღარ ესმით აღარც პოლიტიკა, აღარც ქვეყნის პრიორიტეტები, მოდიან მხოლოდ მოვალეობისათვის, არა, არც კი მოდიან, მოჰყავთ დაინტერესებულ სუბიექტებს და მექანიკურად ასრულებინებენ იმას, რაც მათ სურთ. ასეთი კატეგორისაა უმთავრესად გადასატანი ყუთის მომხმარებელიც. მე არ გამოვრიცხავ გამონაკლისებს, რომლებსაც აქვთ მოტეხილობა, ან დროებით ავადმყოფობენ, მე მხედველობაში მყავს მოხუცები, რომლებიც ჩალოგინებულები არიან და მათი ნების გამოხატვას მათი ოჯახის წევრები, ან მომვლელები ახორციელებენ. ამიტომ მიმაჩნია, ისე როგორც არსებობს ქვედა ზღვარი და ახალგაზრდას 18 წლის შესრულებამდე არ შეუძლია განახორციელოს ხმა, ისე უნდა არსებობდეს ზედა ზღვარიც. თუ 17 წლის და 11 თვის ახალგაზრდა შეგუებულია და არ უჩნდება პრეტენზია კანონის მიმართ, რატომ არ მანხორციელებინებენ ხმასო, არც ხანდაზმულებს გაუჩნდებათ იმის გრძნობა, რომ მათი უფლებები შეილახა. ვფიქრობ, ასე უფრო გაჯანსაღდება ამომრჩეველთა შემადგენლობა და ხალხის ნებაც ზუსტად გადმოიცემა.

არჩევნები დამთავრდა , ხმის დათვლის პროცედურა თითქმის ამოიწურა, ემოციები კი არ ცხრება, მტყუან-მართალის ძიებაში იმართება მიტინგები, ხალხი ღელავს, ახლა დროა, ეს ყველაფერი შეწყდეს და იურიდიულ ჭრილში გადავიდეს პროცედურები, სასამართლოებმა გვაჩვენონ თავიანთი „ფერისცვალება“ და მიიღონ სამართლიანი გადაწყვეტილებები, ახალმა უმრავლესობამ დროულად და უმტკივნეულოდ გადაიბაროს მმართველობა, თავისუფლების განცდა, რომელიც გაჩნდა საზოგადოებაში, კვლავ არ დაითრგუნოს საბოტაჟებით და შანტაჟებით, საზოგადოება მოთმინებით დაელოდოს თითოეული მხარის ქმედებას, აწონ-დაწონოს, საღი აზრი გამოიტანოს და დაძლიოს შიში იმისა, შეძლებს თუ არა „ქართული ოცნება“ შეასრულოს ყველა ის დანაპირები, რაც ხალხს მისცა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისე, როგორც სწორი ტაქტიკური სვლებით ახალი ძალა გამარჯვებამდე მივიდა, ასევე მშვიდობიანად მოახერხებს მთავრობის ყველა ბერკეტის ხელში აღებას, საზოგადოების წონასწორობის შენარჩუნებას და ქვეყნის გაძლიერებას. წინ მძიმე და საინტერესო ოთხი წელია!

ნაირა გორაშვილი

# მასწავლებლებო, ყველა მიყვარხართ!

5 ოქტომბერს მასწავლებლის დღე აღნიშნა დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლამ. ამ სკოლის უფროსკლასელმა მოსწავლეებმა არნახული სიურპრიზი მოუწყეს თავიანთ პედაგოგებს და ამით კიდევ ერთხელ გამოხატეს თავიანთი პატივისცემა და ის დიდი სიყვარული, რაც მათ პედაგოგების მიმართ გააჩნიათ. ღონისძიება ამავე სკოლის მოსწავლემ ქეთი შანშიაშვილმა გახსნა: - „მინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ ჩვენს პედაგოგებს და მივულოცო დღევანდელი დღე. არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი უფრო კარგად იცნობს ბავშვს, ვიდრე მშობელი. გმადლობთ, რომ განსაკუთრებულად თბილები ხართ ჩვენს მიმართ, მუდმივად გვმოძღვრავთ, გვესაუბრებით ადამიანურ, ბუნებრივ, ეთიკურ და ზნეობრივ მრწამსზე. გმადლობთ, რომ ზრუნავთ ჩვენს პიროვნებად ჩამოყალიბებაზე და კიდევ ერთხელ გილოცავთ მასწავლებლის დღეს.“-აღნიშნა თავის გამოსვლაში ქეთი შანშიაშვილი.

„-ძვირფასო მასწავლებლებო, გვინდა ეს დღე თქვენთვის იყოს განსაკუთრებით ლამაზი და გამორჩეული, გვინდა დღეს ლამაზი წუთები გაჩუქოთ, ჩვენი გულიდან წამოსული სიტყვებით გაგათბოთ და ამ არეულ დროს ეს დღე ხალისიანად და მხიარულად გაატაროთ!“-აღნიშნავდა ლიკა ლოლაშვილი.

მასწავლებლების მიმართ წარმოთქმული არაერთი სასიამოვნო სიტყვის შემდეგ, თითოეულმა მონაწილემ თავისეული ხედვით გამოხატა ის დამოკიდებულება და განწყობა, რაც მათ პედაგოგების მიმართ გააჩნდათ, ზოგმა ლექსით, ზოგმა სიტყვით, თუმცა ამ ღონისძიების მთავარი გმირი პედაგოგთა რიგებიდან მაინც ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი ეთერ ალადაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც ყველაზე მეტი კოცნა და სიყვარული მიიღო ამ დღეს ბავშვებისგან, - „ყველა პედაგოგი გვიყვარს, მაგრამ ეთერი მასწავლებელო, თქვენ განსაკუთრებულად გვიყვარხართ!“-აღნიშნავდნენ მოსწავლეები და თბილად იხუტებდნენ მას გულში.

სიტყვით გამოვიდნენ სოფიო მენთეშაშვილმა, დებმა ლოლაშვილებმა, მარი ნიკვაშვილი, რუსუდან და ანა ყოჩიაშვილები, დეკლამატორობით გამოირჩეოდა ხათუთა ცისკარაულის გამოსვლა, რომელმაც ლექსი, მურმან ჯინორიას სტილში წაგვიკითხა. - „დაგეძებდა ქუჩებში, მეამბოხე პოეტი... ღამე მგლების ყმუილზე, ეშვით მაჯებს ვისერავ, მანამდე კი როგორმე, გულის ცემას ავიტან!“-კითხულობდა ხათუთა და მთელი დარბაზი ერთ წუთს გაიყურსა.

ღონისძიების დასასრულს მოსწავლეებმა სიურპრიზებად შემოინახეს თითქმის ყველა პედაგოგის დაჯილდოება ნომინაციაში „აკვიატებული ფრაზები“. რომელიც თითოეული მასწავლებლის ხასიათიდან და აკვიატებული ფრაზებიდან გამომდინარეობდა.

განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს მეთორმეტეკლასელმა თორნიკე ჯეთერიშვილმა და ილია ცისკარაულმა, რომლებმაცგიტარაზე შეასრულეს სიმღერები.

დასასრულს მოსწავლეებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ამ ლამაზი ღონისძიების ორგანიზატორს მაია კეტეციანს და მასწავლებლები სამასწავლებლოში სპეციალურად მათთვის მოწყობილ ოთახში მიიწვიეს.იქ კიდევ უფრო დიდი სიურპრიზი დახვდათ პედაგოგებს, ბურთებით და ყვავილებით მორთულ მაგიდაზე ანთებული სანთლებიანი ტორტი და მოსწავლეების მასწავლებლებისადმი მიწერილი წერილები დახვდათ. სიტყვით გამოვიდა დირექტორი ია ლაპიაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს ამ ლამაზი დღის ჩუქებისთვის.

ღონისძიება ამაღლებული განწყობით დამთავრდა, ჩვენს წინ იდგა თაობა, რომლითაც დედოფლისწყარომ უნდა იამაყოს.

ლალი მეხრიშვილი

# სკოლა - ოჯახი -საზოგადოება

**სამი მეარი და ძლიერი რგოლი ჯაჭვისა, რომელთა გამძლეობაზე და სიმტკიცეზეა დამოკიდებული სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბება.**

მასწავლებელთა მსოფლიო დღე ყოველწლიურად აღინიშნება 5 ოქტომბერს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. ამ ტრადიციას იუნესკოს ეგიდით საფუძველი 1994 წლიდან ჩაეყარა და მისი დანიშნულებაა მასწავლებლის როლისა და ფუნქციის ხაზგასმა მომავალი თაობების აღზრდასა და განათლებაში.

არსებული მონაცემებით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 70 ათასამდე მასწავლებელი მუშაობს.

**სკოლა - საფუძველი**
**ოჯახი - საყრდენი**
**საზოგადოება - კედელი**

როგორ უნდა თანამშრომლობდეს ოჯახი, სკოლა, საზოგადოება?

ბავშვები სკოლაში ცოდნითა და უკვე შეძენილი უნარ -ჩვევით მოდიან. მათ გარკვეული წარმოდგენა აქვთ ქცევის წესებზე, სოციალურ წეს-ჩვეულებებზე და სხვებთან ურთიერთობის დასამყარებლად ერთგვარი სტრატეგიაც გააჩნიათ. ინდივიდის ჩამოყალიბების საფუძველი, როგორიცაა საკუთარი “მეს” შეგრძნება და სამყაროსადმი დამოკიდებულებაც უკე ამ ადრეულ წლებში ყალიბდება. მშობლები ბავშვის პრველი მასწავლებლები არიან.

რა ქმნის ოჯახს? დღევანდელ ცვალებად საზოგაოებაში ოჯახურ ერთობას მრავალნაირად საზღვრავენ. ოჯახები ისევე გავნსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ამ ოჯახის წევრები. ოჯახს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მათ ბავშვზე უდიდესი ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ. მშობლები ბავშვებისთვის პირველი მაგალითია, ვისგანაც მათ პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების გადმოღება შეუძლიათ. მშობლები გამიზნულად მოძღვრავენ თავიანთ შვილებს, რომ ისინი ოჯახისა და შემდეგ, საზოგადოების წევრები გახდნენ. ყველა ოჯახს წარმატება და ბედნიერება სურს საკუთარი შვილებისათვის. მშობლებს შეუძლიათ განაპირობონ საკუთარი შვილების წარმატება მათი ინტერესებით დაინტერესებითა და მათში იმ თვისებების დაფასებით, რომლებსაც საკუთარ თავში აფასებენ. მშობლები თავიანთი შვილებისთვის ისეთსავე ფართო მიზნებს ისახავენ, რასაც მასწავლებელი ყველა ბავშვის წინაშე აყენებს.

მშობლებსა და სკოლას ერთობლივი პასუხისმგებლობა აკისრიათ ბავშვისათვის წარმატების მომტანი გარემოს შექმნაში ზრდა-განვითარების ყველა სფეროში. სკოლა ის ადგილია, სადაც მასწავლებელი და მშობელი ერთად იმუშავებენ. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ასეთი ერთიანობა ხელს უწყობს ბავშვის ზრდას, როგორც პიროვნული ასევე აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით. სკოლას და სახლს შორის დამყარებული პოზიტიური, მეგობრული ურთიერთობა ყველა ბავშვისთვის სარგებლის მომტანია. მოსწავლე უნდა გრძნობდეს, რომ პასუხისმგებლობა მის კეთილდღეობაზე აკისრია, როგორც სკოლის კოლექტივს, ასევე მშობლებს.

დღევანდელი საყოველთაო საყოფაცხოვრებო პრობლემებიდან გამომდინარე ურთიერთ კავშირი სკოლა-ოჯახი-საზოგაოება ირღვევა. მშობელი ნაკლებად იცლის სკოლასთან თანამშრომლობისათვის. მათი ინერტულობა მასწავლებელს არ აძლევს საშუალებას სხვადასხვა საინტერესო საქმიანობები და პროექტები განახორციელოს, რაც მოსწავლეებთან მომუშავე ერთი მოზრდილი ადამიანისათვის შეუძლებელია. მშობლების მონაწილეობა სასწავლო პროცესის წარმართვაში იძულებითია. ძნელად გადასაჭრელი პრობლემის წარმოშობისთანავე მთელ პასუხისმგებლობას მშობელი სკოლის დირექციას და მასწავლებლებს აკისრებს. თუმც ერთერთი ძირითადი პასუხისმგებელი თვითონაცაა, თავს არიდებს სკოლის კოლექტივთან ერთად მონახოს ამ პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები. მშობელს არ სურს გააცნობიეროს, რომ საკუთარი შვილის, სკოლის ცხოვრების ნაწილია და საზოგადოებრივი ერთობის წევრობის შეგრძნება საკუთარ სახლშიც დაამკვიდროს. მშობელსა და სკოლას შორის წარმოიშობა უნდობლობა.

თუ ჯაჭვს აკლია რომელიმე რგოლი, მისი მთლიანობა ირღვევა .

ერთი რამ ნათელია, სამივე რგოლის ურთიერთთანამშრომლობის გარეშე რთულია მივაღწიოთ მიზანს, ჩამოვაყალიბოთ პიროვნება!

# ქოჩების ტბის რეაბილიტაცია, სავარაუდოდ, არ შეჩერდება

***პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 28 სექტემბერს დედოფლისწყაროს ესტუმრა და სოფელ სამრეკლოში მდებარე ე.წ. „ქოჩების ტბასთან“ შეკრებილ მოსახლეობას სიტყვით მიმართა. მან განაცხადა, რომ საქართველოს რუკაზე დედოფლისწყაროს სახით გაჩნდება „ახალი, ძალიან მაგარი კურორტი“.***

გამოსვლისას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა, დედოფლისწყაროს განვითარების პერსპექტივაზე ისაუბრა და ადგილობრივებს ახალი დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობის დაწყება მიულოცა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში მთლიანად მოხდება რაიონის გაზიფიცირება, აშენდება საავადმყოფო და გარემონტდება ყველა სკოლა. პარტიის თავმჯდომარემ სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე პროექტებზეც ისაუბრა.

მიხეილ სააკაშვილს პროექტის დეტალები გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა კახეთის რეგიონში გიორგი სიბაშვილმა გააცნო.

საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს საგარეო მტერს ჰქონდა იმედი, რომ არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე ქვეყანას ჩოქბჯენში ჩააყენებდა.

,,ჩოქბჯენიდან გამოსავალი არსებობს და მე ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებზე არ ვლაპარაკობ, ჩვენ უნდა დავდოთ ბეჭებზე უმუშევრობა, გაჭირვება, უპერსპექტივობა და ყველა ქართულ ოჯახს უნდა მოვუტანოთ მეტი სარგებელი. ეს არის ჩემი ცხოვრების მიზანი”, — განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტი ადგილობრივ მოსახლეობას დაპირდა, რომ დედოფლისწყაროში მალე ყველა ოჯახს ექნება ბუნებრივი აირი, თანამედროვე სკოლები, მოსახლეობა ასევე იქნება უზრუნველყოფილი ხარისხიანი ჯანდაცვით, შემოვა სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის ახალი ტექნიკა.

,,ყოველი კვადრატული მეტრი ჩვენი მიწის ოქროს ფასია. უნდა ვამუშაოთ ჩვენს ხალხზე. დედოფლისწყაროს ყველა ოჯახს ექნება გაზი, ყველა იქნება დაზღვეული. აქაურობა უკეთესი იქნება” - აღნიშნა სააკაშვილმა.

დედოფლისწყაროში, სოფელ სამრეკლოში ე.წ. „ქოჩების ტბის“ რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტის განხორციელება უკვე იწყება.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტბის მიმდებარე ტეიტორიაზე მოეწყობა კაფე, პლაჟი, სპორტული ზონა — მინი ფეხბურთის, კალათბურთის და ბავშვთა სათამაშო მოედნები.

ასევე, სავარჯიშო ტრენაჟორები, გასახდელები და საშხაპეები, ასევე გაკეთდება სათევზაო ზონა და ფაცხები ღამის გასათევად.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ტბის მიმდებარე ტყეში მოეწყობა საპიკნიკე ზონა და ავტოსადგომი.

ამასთან, ხელისუფლება ირწმუნება, რომ რეაბილიტირებული „ქოჩების ტბა“ იქნება საჯარო და ისევე როგორც ილიას ტბაზე, ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება უფასოდ ისარგებლოს ამ ტერიტორიით. მოსახლეობა შიშობს, რომ ტბაზე შესვლა რეაბილიტაციის შემდგომ, შესაძლოა, ფასიანი გახდეს.

საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგების გამოქვეყნებისა და პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ოპოზიციაში გადასვლის თაობაზე განცხადების გაკეთების შემდეგ მოსახლეობა აქტიურად ალაპარაკდა იმის თობაზე, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ ახალი ხელისუფლების დაკომპლექტების შემდეგ, შესაძლოა, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაწყებული პროექტები შეჩერდეს, ანდა საერთოდ აღარ განხორციელდეს.

მინისტრთა კაბინეტისა და ხელისუფლების ცვლილების ფონზე მოსახლეობის ეს ვარაუდი, საფუძველსმოკლებული არ ჩანს. ამდენად, გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა გაერკვია, წინასაარჩევნო კამპანიის დროს დაანონსებული პროექტის განხორციელება ამჯერად ხომ არ დგას ეჭვქვეშ.

ამ კითხვით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს და პროექტის ერთ-ერთ ინიციატორს ***ზაზა კედელაშვილს*** მივმართეთ.

კედელაშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ამ პროექტის დაფინანსებას პრობლემა არ უნდა შეექმნას. კედელაშვილი ასევე ვარაუდობს, რომ ივანიშვილის ხელისუფლება დაწყებულ პროცესს გააგრძელებს და ინფრასტრუქტურის განვითრება გაგრძელდება.

ბიძინა ივანიშვილს ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროექტების გაგრძელებასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე, კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა უკვე ღიად განაცხადა, რომ ქალაქი ლაზიკა აღარ აშენდება.

„ვერ ვხედავ ამ ქალაქის აშენების საჭიროებას და საერთოდ, რა ფულით უნდა აშენდეს? ეს ყველაზე ანეკდოტური შემთხვევაა, რაც სააკაშვილთან ასოცირდება,” - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. იგი პარლამენტის ადგილმდებარეობის საკითხსაც შეეხო, რომელიც კონსტიტუციის თანახმად, ქუთაისში უნდა განთავსდეს.

ივანიშვილმა განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე პარლამენტის ახალ შემადგენლობას ქუთაისში მოუწევს შეკრება, რადგან, მისი თქმით, პარლამენტის შენობა თბილისში შიგნიდან უკვე დანგრეულია.

ილია მარტყოფლიშვილი





# განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის შეხვედრა დედოფლისწყაროში

***დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში 4 ოქტომბერს თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის წევრი სკოლების ერთობლივი შეკრება გაიმართა.***

შეხვედრას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს №1, დედოფლისწყაროს №2, სოფელ ხორნაბუჯის და სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის წარმომადგენლები.

მონაწილეებმა 2012-13 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები წინასწარ გაწერეს და ერთმენეთს გამოცდილება გაუზიარეს.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ცენტრის წევრი სკოლების სამოქმედო გეგმებს შორის პრიორიტეტული იქნება სხვადასხვა სახის საქველმოქმედო და ანტინარკოტიკული შინაარსის აქციები, რომლებიც მომავალი თაობების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისკენ იქნება მიმართული.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ უნდა გაიმართოს სასკოლო არჩევნები, რომელიც მოსწავლეთა თვითმმართველობების დაკომპლექტებას გულისხმობს. ამ საკითხზე საკუთარი ხედვა წარმოადგინეს თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის წევრი სკოლების წარმომადგენლებმა. ისინი არჩევნებს მათთვის სასურველ პერიოდში ინდივიდუალურად დანიშნავენ და მის ჩატარებასაც თავადვე უზრუნველყოფენ. ასევე საუბარი შეეხებოდა მცირე გრანტების კონკურსს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლების სამოქალაქო კლუბებს დაევალათ მიმდინარე სასწავლო წელს სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება უზრუნველყონ.

მაგალითად, დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის სოციალური მედიის ლიდერ — გიგი იაკობიშვილს დაევალა ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა პარტნიორ სკოლებში.

როგორც გიგი იაკობიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, პარტნიორ სკოლებში ტრენინგების ციკლი მიმდინარე წლის ნოემბერის თვეში ჩატარდება.

ამას გარდა, დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბი სპექტრი მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მოამზადებს ვიდეო რეპორტაჟს, რომელიმე დედოფლისწყაროელ წარმატებულ და ცნობილ ადამიანთან.

შეხვედრა დედოფლისწყაროელმა ახალგაზრდებმა დადებითად შეაფასეს და განაცხადეს, რომ ძალზე საინტერესო აქტივობები დაიგეგმა, რის განხორციელების დროსაც მათთვის მიმდინარე სასწავლო წელი ერთიორად ნაყოფიერი და სახალისო გახდება.

ირაკლი კოკილაშვილი

# კახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფის ექსპერტების შეხვედრა დედოფლისწყაროელებთან

ცნობილია, რომ ეფექტიანი რეგიონული მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ შეიქმნა სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის სათათბირო ორგანო რეგიონული განვითარების საბჭო, რომლის ძირითადი ამოცანაა კახეთის რეგიონის განვითარების 2012-2017 წლების სტრატეგიის შემუშავება. სტრატეგიაზე მუშაობა მიმდინარე წლის 16 ივლისს დაიწყო, რომელიც 16 ოქტომბერს უნდა დასრულდეს.

სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაცია სტრატეგიაზე მუშაობისას თანამშრომლობს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ). მათი მხარდაჭერით შეიქმნა ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს კახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე. პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა და ჩართულობა.

რეგიონული სტრატეგიის შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის მცხოვრებთან შეხვედრასა და არსებულ პრობლემებზე საუბარს.

სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფის მიზანია, გამოარკვიონ რა ძირითადი პრობლემები აქვთ მუნიციპალიტეტებს ამა თუ იმ სფეროში.

სწორედ ამ მიზნით, რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროში, ადმინისტრაციულ შენობაში სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფის წევრების და ექსპერტების შეხვედრა გაიმართა ადგილობრივებთან.

ეკონომიკისა და ტურიზმის მიმართულების ექსპერტ სოსო მიქელაძის განცხადებით:

„აქამდე არსებულ სტრატეგიაზე პასუხისმგებლობა არავის აუღია, დღეს კი, რეგიონული მართვის სამინისტრო იღებს პასუხისმგებლობას, რომ ახალი სტარტეგია, რომელიც დამუშავების პროცესშია, უახლოესი 5 წლის მანძილზე განხორციელდება. აქტიურად ვმუშაობთ, ვადგენთ რა სახის პრობლემებია კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში და მთავრობას მივაწვდით რეკომენდაციებს მის გადასაჭრელად," - აღნიშნა მიქელაძემ.

***მკვლევარების აზრით, დედოფლისწყაროელებისათვის მთავარი პრობლემა უმუშევრობა, ადგილობრივი ბიზნესის განვითარება, ტურისტთა ნაკლები რიცხვი და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პრობლემებია.***

შეხვედრას ადგილობრივი ფერმერებიც ესწრებოდნენ. მათი განცხადებით, უმთავრესი პრობლემა სამთაწყარო-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ხიდის აღდგენაა:

,,პრობლემებს რა დალევს, მაგრამ ხიდის აღდგენა უმთავრესია ჩვენთვის. ხალხს ხიდის იქით ნათესავები ჰყავს და ვერ ახერხებენ მათ ხშირად ნახვას. პრობლემებია ტურისტების მხრივაც, აქ ტურისტი თითქმის არ შემოდის, რადგან ინფორმაცია არ აქვს. ჩვენი მუნიციპალიტეტი ,,ღვინის გზაში" არ ზის და არც რუკაზეა აღნიშნული. მოსაწყობია ქალაქისა და სოფლების ინფრასტრუქტურა გზების ჩათვლით," - აღნიშნა შეხვერდაზე ფერმერმა ბესიკ თოფჩიშვილმა.

– „პრობლემები ბევრია ჩვენს ქალაქში, ხალხი დაუსაქმებელია. დიდი პრობლემაა მოყვანილი მოსავლის რეალიზაცია, ასევე ნაკლებია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, არ გვაქვს ბაზრობები, სადაც ჩვენს ნაწარმს გავყიდით. ტურისტებიც ნაკლებად მოდიან, ინფრასტრუქტურას თუ მოაწესრიგებენ, შესაძლოა, ტურისტების რიცხვი გაიზარდოს," - აღნიშნეს შეხვედრის დანარჩენმა მონაწილეებმა.

კახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის განმახორციელებელია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია, რომელსაც ხელს უწყობენ ექსპერტები.

სოფლის მეურნეობის ჯგუფის ხელმძღვანელის, ექსპერტის, დავით თამარაშვილის განმარტებით, მისი ჯგუფის მიზანია, მაქსიმალურად აისახოს რეგიონის მასშტაბით არსებული პრობლემები სოფლის მეურნეობის მიმართულებით:

***– „სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო ახორციელებს რამდენიმე პროექტს. ჩვენ გვაინტერესებს სად არის პრობლემა და რა არის გამოსავალი, რომ ყველაფერი ავსახოთ სტრატეგიაში, რათა სახელმწიფომ შეძლოს პრობლემათა გაანალიზება და პროგრამების ეფექტური განხორციელება. თითოეული ღონისძიება უნდა აისახოს ბიუჯეტში, რადგან სტრატეგია მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურების ფორმირებას. ყველაზე აქტუალური თემა სურსათის უვნებლობის საკითხია, რომელიც ზუსტად უნდა გაიწეროს სტრატეგიაში. ჩვენი მუშაობა საბოლოოდ საჯარო მართველობის ეფექტურ მოდელზე გადასვლის წინაპირობაა".***

სოციალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ჯგუფის ხელმძღვანელ ექსპერტ თინათინ ხანჯალიაშვილის თქმით კი, პირველადი ინფორმაციის მოკვლევა უკვე დასრულებულია:

**– „ვაგროვებთ მუნიციპალიტეტებში არსებულ ინფორმაციებს, რასაც გავაანალიზებთ, სოციალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული სიტუაციის პირველადი მოკვლევაც თითქმის დასრულებულია.**

სოციალური მიმართულებები იშლება ქვეთავებად: ჯანდაცვა, განათლება და მიგრაცია. ასევე, მუშაობა მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის კუთხითაც."

ექსპერტების მოსაზრებებს მედია ცენტრი „კახეთი" ავრცელებს. ეკონომიკისა და ტურიზმის ჯგუფის ხელმძღვანელის, ექსპერტ სოსო მიქელაძის განცხადებით, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტების როლი საერთო რეგიონულ

კონტექსტში:

– „ეკონომიკის კუთხით ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან მექნება შეხვედრები. საბოლოო ჯამში სტრატეგია არის გზა, რითაც უნდა მივიდეთ მიზნებამდე. მანამდე საჭიროა პრობლემების გამოვლენა და ანალიზი, ამისათვის კი აუცილებელია ეკონომიკური დაგეგმვა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა მოსაზრებები და საჭიროებები."

ექსპერტ კახა სუხიტაშვილის, გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის მიმართულების ხელმძღვანელის თქმით, ამ ეტაპზე გარემოს დაცვა პრიორიტეტული მიმართულება არ არის, თუმცა გარემოსდაცვითი პრობლემები მთელ საქართველოში თვალსაჩინო და მტკივნეული ხდება და, რეგიონული მიმართულებითაც ყურადსაღებია:

–„მიხარია, რომ სტრატეგიის ერთი მიმართულება ბუნებრივი რესურსების დაცვაა. სამუშაოს გააზრებისათვის სათითაოდ უნდა აისახოს, რომელ მუნიციპალიტეტს რა პრობლემა აქვს, რადგან ყველა რაიონს სხვადასხვა ბუნებრივი რესურსები გააჩნია, შესაბამისად, პრობლემებიც განსხვავებული აქვთ. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის როლის გამოკვეთა მნიშვნელოვანია თვითმმართველობის როლის გაზრდის თვალსაზრისით, როგორც გადაწყვეტილებების მიღების, ისე აღსრულების დროს. ადგილობრივი მოსახლეობა ამით უფრო მეტად ისარგებლებს, ვიდრე მაშინ, თუ გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ ცენტრიდან. პირველ რიგში, გვინდა მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესწავლა, ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, ანალიზი, დასკვნების გამოტანა და ბოლოს გზების დასახვა, მომავალი 5 წლის განმავლობაში საით უნდა წავიდეთ. მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებში მყოფი ადამიანების ჩართვა დარგების მიხედვით და პრობლემების მოგვარების გზებზე საუბრები, ასევე, მუნიციპალიტეტებში კვალიფიციური კადრების არსებობა როგორც გარემოს დაცვის, ასევე ბუნებრივი რესურსების მიმართულებით. ჩვენი პრიორიტეტია ასეთი ადამიანების მოძებნა და მათთვის კვალიფიკაციის ამაღლება, რათა მუნიციპალიტეტებს ჰყავდეთ დასაყრდენი."

ექსპერტების ჯგუფმა მიმდინარე პროექტის შესახებ კახეთში მოქმედი ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლების ინფორმირება მოახდინა და ისინი სამუშაო ჯგუფებში მოიწვია.

ილია მარტყოფლიშვილი

# გამოცდების ეროვნული ცენტრი - სტუმრად დედოფლისწყაროში

***განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები 3 ოქტომბერს ქალაქ დედოფლისწყაროს ეწვივნენ. მათ ქალაქის №1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში ადგილობრივ აბიტურიენტებთან და საჯარო სკოლების მასწავლებლებთან შეხვედრა გამართეს.***

შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც დედოფლისწყაროს, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლების სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლებიც.

გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები ირინა აბულაძე მოსწავლეებს ესაუბრა საგამოცდო ფორმატის სიახლეებზე, ხოლო ნინო გორდეზიანმა მასწავლებლებს პედაგოგთა სერთიფიცირების პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

გაზეთ „შირაქთან" საუბრისას შეხვედრაში მონაწილეები კმაყოფილებას გამოხატავდნენ სტუმრების მიმართ და ამბობდნენ, რომ სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ყველა ინფორმაცია ამომწურავად და გასაგებად იყო მიწოდებული.

„ჩვენი რაიონის მაცხოვრებლებისთვის ამგვარი სახის შეხვედრები ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან დედოფლისწყარო თავისი მდებარეობის მიხედვით სასაზღვრო რაიონია და ჩიხში მდებარეობს. ამ მხრივ, ორმაგად მნიშვნელოვანია, ამ სფეროში მიმდინარე სიახლეები და მეტად საჭირო ინფორმაცია ჩვენს რაიონშივე პირველწყაროდან მივიღოთ. უდაოდ საინტერესო და აუცილებელი იყო მათი ვიზიტი დედოფლისწყაროში და ჩვენ და ჩვენს თანატოლებს მიგვაჩნია, რომ მსგავსი შინაარსის შეხვედრები რაიონებში ხშირად უნდა იმართებოდეს," — აღნიშნეს დედოფლისწყაროელმა აბიტურიენტებმა.

შეხვედრას დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან ზაქრო ჭუაძე ესწრებოდა.

ირაკლი კოკილაშვილი

# სვეტიცხოვლობა - ნათელი უსაზღვრო და გაბრწყინებული

სამი საუკუნე გასულიყო მას შემდეგ, რაც მცხეთელმა ებრაელებმა ელიოზმა და ლონგინოზმა ქართლის მიწაზე მოაბრძანეს კვართი უფლისა - ღვთისმშობლის მიერ თავისი ძისათვის ურღვევად და უკერებლად ნაქსოვი მეწამული კვართი, რომელიც გაუხდელად ემოსა მხსნელს ჩვენსას მიწაზე ყოფნისას. ეს კვართი სასწაულებრივად იზრდებოდა ღვთაებრივ ყრმასთან ერთად. მწიგნობრებმა და ფარისევლებმა, რომელთაც ქრისტეს მოკვდინება ჰქონდათ გადაწყვეტილი, სამსჯავროზე დასასწრებად სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ებრაელების წარმომადგენლები დაიბარეს. მცხეთიდან წარმომადგენლები ელიოზი და ლონგინოზი იყვნენ.

ელიოზი დედამ გააფრთხილა, განკაცებული მაცხოვრის გადარჩენას თუ ვერ შეძლებდა, მის სისხლში მაინც არ დაედო წილი. ხოლო დამ, სიდონიამ, სთხოვა, მისი რაიმე ნივთი ჩამოეტანა სახსოვრად. მცხეთელებმა სამსჯავროს ვერ მიუსწრეს - იერუსალიმში მხოლოდ ჯვარცმის დღეს ჩავიდნენ. როდესაც ქრისტეს ჯვარს აკრავდნენ, სამსჭვალზე დაკრული უროს ხმა მცხეთაში ელიოზის დედამ გაიგონა და გული გაუსკდა. ელიოზმა რომაელი ჯარისკაცებისაგან დისათვის ქრისტეს პერანგი გამოისყიდა და მცხეთაში წამოიღო. სიდონია მცხეთის კარიბჭესთან შეეგება ძმას, კვართი გულიში ჩაიკრა და მთელი არსებით იგრძნო მაცხოვრის მიერ განცდილი ტანჯვის სიმძიმე. მისმა გულმა ვერ გაუძლო ამ ტკივილს და იქვე გარდაიცვალა. ვერავინ შეძლო მიცვალებული ქალწულის ხელთაგან პერანგის გამორთმევა, ამიტომ ქართულმა მიწამ კვართი წმიდა სიდონიას ცხედართან ერთად მიიბარა. ასე დაიწინდა საქართველო ზეციურ იერუსალიმთან. ასე განისაზღვრა გზა და დანიშნულება მისი.

სამი საუკუნე გასულიყო ამ დღიდან. წმიდა მოციქულთა - ანდრიას, სვიმონის და მატათას ქადაგების მიუხედავად, ქართლის მთები მაინც ცოდვის ნისლს დაეფარა, ხოლო თავად ქართლი ჩაფლულიყო კერპთაყვანისმცემლობისა და მსხვერპლშეწირვის წყვდიადში. ქრისტეს კვართით ზეციურ იერუსალიმთან დაწინდვიდან სამი ასწლეულის გასვლის შემდეგ დამდგარიყო ჟამი ქართველი ერის ქრისტესთან სულიერი ქორწინებისა. სწორედ ამ მისიით მოემართებოდა ქართლისაკენ წმიდა ნინო - მოდიოდა და მოჰქონდა ღვთისმშობლისგან ბოძებული ჯვარი ვაზისა, როგორც სიმბოლო ჭეშმარიტებასთან ზიარებისა და საცდურთა ძლევისა.

მოვიდა და დაემკვიდრა ქართლში - სნეულთ კურნავდა, ლოცულობდა, ცოდვილთ მოაქცევდა... მისმა ლოცვამ თავად მეფე-დედოფალიც კი გააქრისტიანა. და მოისურვა მირიანმა, აღემართა ეკლესია ჭეშმარიტი ღმერთის სადიდებლად. ტაძრის სვეტებისათვის სამეფო ბაღში ამოსული ნაძვი მოჭრეს და მისგან შვიდი სვეტი დაამზადეს - ექვსი აღმართეს, მაგრამ მეშვიდე - ყველაზე დიდი - ადგილიდან ვერ დაძრეს. წმიდა ნინო კვლავაც ლოცვად დადგა. გამთენიისას ზეცით გარდამოხდა ნათლით მოსილი, "ყოვლად ცეცხლითა მობლარდნილი" ჭაბუკი, ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. ღვთივგაბრწყინებული სვეტი 12 წყრთის სიმაღლეზე გაჩერდა ჰაერში. მთელი მცხეთა დაიძრა ნათლის სვეტის თაყვანის საცემად. მიახლოებისას სნეულნი ინკურნებოდნენ, ბრმებს თვალები ეხილებოდათ, დავრდომილნი სიარულს იწყებდნენ... და აღიმართა სვეტი ცხოველი ზეცისა და მიწის უწყვეტ კავშირად, ქართული ქრისტიანობის სიმბოლოდ, ცხოველსმყოფელ სვეტად და საძირკვლად ქართული ეკლესიური აზროვნებისა. მამა გაბრიელის თქმით, ქრისტეს ამაღლების შემდეგ, დედამიწაზე აღარ არსებობს სვეტიცხოველზე უფრო წმიდა ადგილი - ადგილი ზეცასა და მინას შორის ხილულად აღდგენილი და შეკრული კავშირისა, ცხოველმყოფელი ნათლის გაბრწყინებისა, ქრისტეს კვართის დავანებისა.

სვეტი იგი ნათლისა, სვეტიცხოველი, თავით ზეცას სწვდებოდა, ხოლო ძირით სიდონიას გულში ჩაკრულ მაცხოვრის კვართს ემყარებოდა. როგორც უბრალო ხემ იცვალა ფერი და ნათლის სვეტად იქცა, ასევე იცვალა ფერი ქართულმა სულმა, გაბრწყინდა რა ქრისტესმიერი ნათლით. იმ დღეს არა მხოლოდ ქართული სულის ფერისცვალება მოხდა, არამედ ქართული ეკლესიის მოწყობაც. ჩვენი ქრისტიანობის ფესვები ქრისტეს სისხლით შესვარული მაცხოვრისეული კვართია - ანუ ჩვენი გზაც, ქრისტესაკენ სავალი, ჭეშმარიტებისათვის ბრძოლით, წამებითა და ტანჯვით იქნება გასავლელი.

სვეტი-ცხოველის აღმართვის შემდეგ მცხეთა "ახალ იერუსალიმად" იწოდა, სვეტიცხოვლის ტაძარი - "წმიდათა წმიდად", მსგავსად სოლომონის ტაძრის წმიდათა წმიდისა, სადაც ინახებოდა აღთქმის კიდობანი, ხოლო ქართველი ერი - "ერად საზეპუროდ" და "ვენახად ქრისტესი"...

**სვეტიცხოვლისა და სვეტიცხოველის ძალა და მადლი გვფარავდეს ყველას!**

## დედოფლისწყარო ეკურთხა

1 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, დეკანოზმა ნიკოლოზმა მრევლთან ერთად რაიონის ცენტრში მოაწყო მშვიდობიანი მსვლელობა, რაც რაიონის კურთხევას ითვალისწინებდა. პატრიარქის კურთხევით დეკანოზმა ნიკოლოზმა და რაიონის მამაოებმა აკურთხეს როგორც მთელი რაიონი,ასევე სოფლები. იმავე დღეს მსვლელობაში ჩაერთო სოფლების მოსახლეობა და საკმაოდ ფართომასშტაბი შეიძინა. ეს გახლდათ კიდევ ერთი გამოფხიზლება ქართველი ერისა, რათა სრულიად საქართველოს მოსახლეობას კიდევ ერთხელ კარგად გაეანალიზებინა, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევა. ჩვენს რაიონში მსვლელობამ საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო და მას დიდი თუ პატარა, შეძლებისდაგვარად, შეუერთდა. -„პატრიარქის თხოვნა იყო, რომ განსაცდელის ჟამს სრულიად საქართველო ეკურთხებინათ, ასეც მოხდა, ალბათ ამან განაპირობა ის, რომ სამოქალაქო დაძაბულობის პირას მისული საზოგადოება ასცდა სისხლისღვრას და უბედურებას, რომლისგანაც განსაცდელის დღეებში, არც ისე შორს იდგა საქართველო. მადლობა ჩვენს სამღვდელოებას ამისთვის, მადლობა ჩვენთვის ესოდენ ძვირფას დეკანოზ ნიკოლოზს!"-აცხადებდა იმ დღეს ერთ-ერთი მრევლი.

ლალი მეხრიშვილი

## ხსოვნა

## ტარიელ ჯამასპიშვილი

ცრემლსა და მწუხარებაში გავიდა ერთი წელი. 10 ოქტომბერს უშენოდ უნდა აღვნიშნოთ შენი დაბადების დღე.

დიდი ძალა იყავი არა მარტო შენი ოჯახისთვის, არამედ მთელი სოფლისთვისაც. შენი მართალი და ალალი გულით ყველას თავი შეაყვარე და ამიტომ „გულმართალა" შეგარქვეს.

შენ დიდი იმედი იყავი ძმისშვილებისთვისაც, შენი კაცური კაცობით ვამაყობდით და ვიამაყებთ. ძალიან, ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. დაბადების დღეს გილიცავთ და უფალს შევთხოვთ, რომ შენი ნათელი სული დაამკვიდროს სამუდამო სასუფეველში.

მონატრებით
შენი ძმისშვილები

## რა მოხდა 5 ოქტომბერს

- 1582: გრიგორიანული კალენდრის შემოღების გამო ეს დღე არ არსებობს ამ წელს იტალიაში, პოლონეთში, პორტუგალიასა და ესპანეთში.
- 1665: კიელის უნივერსიტეტი დაარსდა.
- 1789: საფრანგეთის რევოლუცია - პარიზელი ქალები ვერსალისკენ მიემართებიან ლუი XVI-სთვის წინააღმდეგობის გასაწევად, ამ უკანასკნელის მიერ ფეოდალიზმისგაუქმების დადგენილების უარყოფის გამო.
- 1793: საფრანგეთის კონვენტმა მოქმედებაში შემოიღო რევოლუციური კალენდარი, სადაც პირველი წელი იწყებოდა რესპუბლიკის რევოლუციის პირველი დღიდან - 1792 წ. 22 სექტემბერს. წელი 12 თვისაგან შედგებოდა 30 დღე თითოში. დარჩენილი 5 (6) დღე დღესასწაულად გამოცხადდა.
- 1795: ნაპოლეონმა როიალისტების ვანდემიერის ბუნტის ლიკვიდირება მოახდინა.
- 1864: ინდოეთის ქალაქი კალკუტა თითქმის მთლიანად დაინგრა ციკლონის გამო; 60.000 ადამიანი დაიღუპა.
- 1908: პრინცი ფერდინანდ I ბულგარეთს დამოუკიდებლად აცხადებს, საკუთარ თავს კი - ბულგარეთის მეფედ.
- 1910: პორტუგალიაში გაუქმდა მონარქია და რესპუბლიკა გამოცხადდა.
- 1915: პირველ მსოფლიო ომში ჩაერთო ბულგარეთი.
- 1921: ლონდონში დაარსდა საერთაშორისო პენ-კლუბი, ≈ მწერალთა საზოგადოება.
- 1925: აშშ-ში გამოვიდა ერნესტ ჰემინგუეის პირველი წიგნი.
- 1945: ჰოლივუდის შავი პარასკევი - ჰოლივუდის სცენურ დეკორატორთა ექვსთვიანი გაფიცვა სისხლიან აურზაურში გადაიზარდა უორნერ ბრაზერსის სტუდიასთან.
- 1947: პირველი სატელევიზიო გამოსვლა თეთრი სახლიდან გააკეთა აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა.
- 1962: ბითლებმა ბრიტანეთში გამოუშვეს პირველი სინგლი „Love Me Do".
- 1970: ეგვიპტის გარდაცვლილი პრეზიდენტის, ნასერის, ნაცვლად პრეზიდენტად არჩეული იქნა მისი ახლო თანამებრძოლი ანვარ სადათი.
- 1986: ბრიტანეთის გაზეთმა "სანდეი თაიმზმა" გამოააშკარავა ისრაელის საიდუმლო ბირთვული იარაღი.
- 1991: ლინუქსის პირველი ოფიციალური ვერსია 0.02 გამოვიდა.
- 2000: ბელგრადში გამართული მასობრივი დემონსტრაციების შედეგად გადადგა სერბეთის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი. ამ დემონსტრაციებს ხშირად ბულდოზერის რევოლუციას უწოდებენ.

ილია, ზაურ მარტყოფლიშვილები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ციცინო, ნანა, ბეჟან მაჩაბლიშვილებს მეუღლის და მამის
ბელურა მაჩაბლიშვილის
გარდაცვალების გამო.

# „ჩემი ცხოვრების შემოდგომა“ ქსოვრელების თანხლებით...

***დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ცარო მარტიაშვილის საიუბილეო-შემოქმედებითი საღამო გაიმართა. ღონისძიებაში ანსამბლი „ქსოვრელებიც“ იღებდნენ მონაწილეობას. ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოს სახელწოდებით „ჩემი ცხოვრების შემოდგომა“ ასევე ესწრებოდა ცნობილი მსახიობი, პროზაიკოსი და პოეტი გივი სიხარულიძე, რომელმაც ჩვეულებისამებრ მისთვის დამახასიათებელი მანერით აუდიტორიას თავისი ლექსები წაუკითხა.***

ქსოვრელებისა და სიხარულიძის დედოფლისწყაროში ვიზიტი საღამოს განსაკუთრებულ ეშხს მატებდა. კულტურის სახლის დარბაზში ანშლაგი იყო.

გოგონათა ვოკალურმა ანსამბლმა „მანდილი“ (ხელმძღვანელი დალი ელისაშვილი) რამოდენიმე სიმღერა შეასრულა, ხოლო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „შირაქი“ ტრადიციას არ უღალატა და თავისი ცეცხლოვანი ცეკვებით კიდევ ერთხელ გააკვირვა ადგილობრივებიც და სტუმრებიც, რომლებიც აპლოდისმენტებს არ იშურებდნენ.

ცარო მარტიაშვილს დედოფლისწყაროელები სცენიდან იცნობენ. ის მრავალი წელია, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორია.

„30 წელი გავიდა, რაც აქ ვმუშაობ. ამასთან დაკავშირებით პატარა საღამო ჩავატარეთ. ძალიან მინდოდა, რომ დღევანდელი დღე შემდგარიყო. რაც ჩაფიქრებული მქონდა, ნაწილობრივ შესრულდა. თუმცა, შეიძლებოდა უკეთესიც ყოფილიყო. ეს მაყურებელმა შეაფასოს... პოპულიზმი არ მიყვარს, ამიტომ ჩემი სურვილი იყო, რომ ღონისძიებას მილოცვების გარეშე ჩაევლო... უბრალოდ, მინდოდა მაყურებლისთვის მოკრძალებული ანგარიში ჩამებარებინა! ნამდვილად არ ვიცი, ეს როგორ გამომივიდა. რაც შეეხება „ქსოვრელებისა“ და გივი სიხარულიძის დედოფლისწყაროში სტუმრობას, ისინი ჩემი პირადი მეგობრები და საერთოდაც ნეიტრალური ადამიანები არიან. გივის პირველად 7 წლის წინ შევხვდი. მწერალთა კავშირში, „სალბუნის“ პრეზენტაციაზე გავიცანი. მერე ჩვენთან მოვიწვიე, დედოფლისწყაროში ახლა უკვე მეოთხედ იყო ჩამოსული. ქსოვრელებთან ერთად სამი წლის წინ ამავე დარბაზში ჩავატარე ფიროსმანის საღამო, რომელსაც კახეთის გუბერნატორი, გიორგი ღვინიაშვილიც დაესწრო. აქვე, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს სამსახურს და თანამშრომლებს, რომლებიც ძალიან გვერდით დამიდგნენ,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ცარო მარტიაშვილმა.

„ბედნიერია ის მხარე, რომელსაც ასეთი ქალბატონი ჰყავს. ცარო არის უნიჭიერესი ადამიანი, ქართული სულის მატარებელი ქალბატონი... ის არის პოეზიის წყარო, საიდანაც მოედინება ძლიერი პოეტური სულისკვეთება და გადმოიღვრება პოეზიის რითმები... ეს არის გენიალური ქალი, რომელმაც აღზარდა და კიდევ აღზრდის უამრავ ნიჭიერ ქართველს, ნაღდ ქართველს!,“ - აღნიშნა გაზეთ „შირაქთან“ საუბარში გივი სიხარულიძემ.

„მე მიხარია, რომ თქენს ახლოს, თქვენს გვერდით ვცხოვრობ და თქვენთან ერთად საზიარო ვსუნთქავ ჰაერით!!! მადლობას გიხდით დიდი სითბოსთვის, რომ ამიკინძეთ ლამაზ მძივებად!!!“ - ასეთი პოზიცია გამოხატა მარტიაშვილმა ღონისძიების დასრულების შემდეგ სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე.

მაყურებელი დარბაზს კმაყოფილი ტოვებდა და არ მალავდა, რომ ქალბატონმა ცარომ საკუთარ ნიჭიერებაში საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა და ამჯერადაც ლამაზი წუთები კიდევ აჩუქა.

ირაკლი კოკილაშვილი

# სპორტი

## ძიუდო

ქალაქ საგარეჯოში ჩატარდა სპორტული ფესტივალი „კახეთი 2012“ ვეტერან სპორტსმენთა შორის ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს სოფელ ზემო მაჩხაანის ძიუდოისტებმა (მწვრთნელი ვაჟა მოსულიშვილი).

მესამე ადგილები აიღეს: 81კგ—ში ბესიკ მოსულიშვილმა, 90 კგ—ში ზურიკო მოსულიშვილმა და მძიმე წონაში დავით მაძღარაშვილმა.

## სამბო

ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში ახალგაზრდებს შორის, სადაც მონაწილეობა მიიღეს კახეთის პირველობაზე პირველ ადგილზე და სამეულში გასულმა სპორტსმენებმა.

საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: 56 კგ-ში გიორგი ნათათრალაშვილი, 65კგ-ში ლევან კირკიტაშვილი, 74კგ-ში მიშიკო ჩოხელი.

მესამე ადგილის მფლობელები გახდნენ: 52კგ-ში სანდრო ხუციანიძემ, 60კგ-ში ბაჩო ჭიკაიძემ, 87კგ-ში ავთანდილ სომხიშვილმა.

ტრავმის გამო შეჯიბრი ვერ გაგრძელა მიშიკო ჩიბუხაშვილმა.

გუნდი მოამზადეს საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა ვაჟა მოსულიშვილმა და საქართველოს ჩემპიონმა კახა წიკლაურმა.

## სანდა

ქალაქ თბილისში 15 სექტემბერს გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ბრძოლა კ-1 ის წესებით, სადაც მონაწილეობდა სოფელ ზემო მაჩხაანის ორთაბრძოლების გუნდი, საიდანაც ისინი საუკეთესო შედეგით დაბრუნდნენ.

პირველი ადგილი დაიკავეს გიორგი ნატროშვილმა, სანდრო ნატროშვილმა და სოსო ნატროშვილმა.

მეორე ადგილის მფლობელი გახდნენ: გელა ჩაფიძე, თამაზ გონაშვილი და გიორგი ფიროსმანაშვილი.

მესამე ადგილი მოიპოვეს ლუკა მარტყოფლიშვილმა და გიორგი ტოკლიკიშვილმა.

ტურნირში მონაწილეობა მიიღო სანდრო ნატროშვილმა, რომელიც შეხვდა ირანელს და აშკარა უპირატესობით სძლია. აღსანიშნავია ის, რომ სანდრო არის 35კგ და ირანელი იყო 44კგ. წონის განსხვავების მიუხედავად სძლია მან ირანელ სპორტსმენს.

ასევე სანდრომ მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში წესების გარეშე.

სანდრომ სანდაში ასპარეზობისას დაიზიანა ხელი და ამ ტრამვის გამო დაიკავა მეორე ადგილი.

## კიკბოქსინგი

15 სექტემბერს ქ.თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი K-1–ში და შერეულ ორთაბრძოლაში (ბრძოლა წესების გარეშე), სადაც მონაწილეობას იღებდა აზერბაიჯანის და ირანის ნაკრები გუნდები, ასევე საქართველოს ყველა კუთხის გუნდი და კლუბი. ამ შეჯიბრებაზე დედოფლისწყაროს უშუ-ს ეროვნული ფედერაციის კლუბი “არმია”-ც მონაწილეობდა მწვრთნელის გიორგი ცისკარაულის ხელმძღვანელობით, ექვსი სპორტსმენით, საიდანაც ხუთი K-1 წესებით მონაწილეობდა, ხოლო ერთი შერეულ ორთაბრძოლაში (ბრძოლა წესების გარეშე). ამ უკანასკნელში 10 წლის დედოფლისწყაროელი სპორტსმენი ნიკა ჩიტიშვილი ჩემპიონი გახდა. ხოლო K-1-ის წესებით ასპარეზობისას მეორე და მესამე ადგილები წილად ხვდათ გიორგი მარტყოფლიშვილს, ლევან წიკლაურს და ნიკა გლახოშვილს. გუნდიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკა ჩიტიშვილის გამოსვლა, რომელმაც მოწინააღმდეგე შეჯიბრების დროზე ადრე მახრჩობელა ილეთით, ტექნიკური ნოკდაუნით დაამარცხა და ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა.

კლუბი მადლობას უხდის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახურის დირექტორს ბატონ ივანე შანშიაშვილს, გვერდში დგომისთვის და მხარდაჭერისთვის.


## იყიდება

მაღაზიის შენობა 100 მ.კვ. სავაჭრო დარბაზით, 200 მ.კვ სამარაგო ოთახებით, ეზოს ფართით. ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე:

**599 26 80 28**


# აუქციონი

## სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა აცხადებს პირობით აუქციონს სკოლის შენობის

ა) 70კვ.მ ფართის იჯარით გაცემაზე. მიზანი: ძიუდოს წრის ფუნქციონირება. ფართის წლიური ღირებულება 500 ლარი. იჯარის ვადა 2 წელი.

60 კვ.მ ფართის იჯარით გაცემაზე. მიზანი: ხალხური ცეკვის წრის ფუნქციონირება. ფართის წლიური ღირებულება 400 ლარი. იჯარის ვადა 2 წელი.

გ) 30კვ.მ ფართის იჯარით გაცემაზე. მიზანი. მუსიკის წრის ფუნქციონირება. ფართის წლიური ღირებულება — 400 ლარი. იჯარის ვადა 2 წელი.

დ) 10 კვ.მ ფართის იჯარის გაცემაზე. მიზანი სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირება. ფართის წლიური ღირებულება 100 ლარი. იჯარის ვადა 2013 წლის 1 ივლისამდე.

პირობები: ბიჯი-ქირის 5%.

სანიტარულ-ჰიგიენური, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვა,მიზნის შესაბამისი საქმიანობის წარმოება. იჯარით არსებული ქონების გაფრთხილება. გადახდის ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

პირობით აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. *განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ.*
2. *„ბ“ წლიური გადასახადის —10%*
3. *მონაწილეობის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი მოწმობის ასლი*
4. *ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მყიდველი მოქმედებს სხვა სახელით.*

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, ან უცხო ქვეყნის იურდიულ და ფიზიკურ პირს.

განცხადება მიიღება გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, შაბათ-კვირის გარდა.

პირობითი აუქციონი ჩატარდება 30-ე კალენდარულ დღეს.

განცხადების მიღება იწარმოებს მისამართზე:

არხილოსკალოს საჯარო სკოლა.

**ტელ: 577 24 30 22, 593 68 80 02**

# ამინდი

## დედოფლისწყარო

| შაბათი 06. 09 | | კვირა 07. 09 | | ორშაბათი 08. 10 | | სამშაბათი 09. 10 | | ოთხშაბათი 10. 10 | | ხუთშაბათი 11. 10 | | პარასკევი 12. 10 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 21 ° | 15 ° | 19 ° | 15 ° | 18 ° | 16 ° | 19 ° | 15 ° | 18 ° | 14 ° | 15 ° | 14 ° | 14 ° | 12 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ. პ. ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.


C M Y K